საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/199

ქ. ბათუმი 12 აგვისტო, 2022 წ.

,,უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარები, კონგრესი, ფორუმები) მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები (2022 წლის მე-2 ეტაპზე) ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 25 ივლისის N01-02/186 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/21 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის" ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის 2022 წლის 11 აგვისტოს №895494 და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ/შ-ის 2022 წლის 12 აგვისტოს №897318 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარები, კონგრესი, ფორუმები) მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები (2022 წლის მე-2 ეტაპზე) ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 25 ივლისის N01-02/186 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:**

ა) ბრძანების 3.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის - 10 000 ლარი, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერის შემთხვევაში - 1000 ლარი, თუკი ახალგაზრდა მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას კონკურსში და გამოვლინდება გამარჯვებული.";

ბ) ბრძანების 3.1 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის - 8 000 ლარი, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერის შემთხევაში - 2000 ლარი, თუკი ახალგაზრდა მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას კონკურსში და გამოვლინდება გამარჯვებული.";

2. ბრძანება დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**